შორენა კოკორაშვილი

გამოხატვის თავისუფლება, მედიისა და პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის როლი

შორენა კოკორაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მედიის წარმომადგენლები მიიჩნევიან საზოგადოებრივ მეთვალყურეებად, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ისინი ვალდებულნი არიან, გაავრცელონ ინფორმაცია და საზოგადოებას გააცნონ ყველა საკითხი, რომლებიც საჯარო ინტერესს იწვევენ და რომლის მიღების უფლებაც, თავის მხრივ საზოგადოებას აქვს. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური. მათ აქვთ უფლებები და პასუხისმგებლობები. უფლებებში იგულისხმება ჟურნალისტის პრეროგატივა, განახორციელოს საკუთარი პროფესიული მოვალეობები და გააშუქოს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები, ხოლო პასუხისმგებლობები ნიშნავს, ჟურნალისტმა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და მიაწოდოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: მედია, პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკა, ობიექტურობა, ტაბლოიდური ჟურნალისტიკა, გამოხატვის თავისუფლება.

შესავალი

გამოხატვის თავისუფლების უფლება ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული უფლებაა. იგი მოიცავს შეხედულების, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების უფლებას საჯარო უწყებების ჩარევის გარეშე, თუმცა სახელმწიფოებს აქვთ უფლება, დააწესონ ლიცენზირების მოთხოვნა მაუწყებლის, ტელევიზიებისა თუ კინომწარმოებელი კომპანიებისათვის.

ეს უფლება არის არის დემოკრატიული საზოგადოების არსებითი ელემენტი და ძირითადი პირობა მისი პროგრესისა და თითოეული პირის თვითრეალიზაციისათვის. გამოხატვის თავისუფლება არ მოიცავს მხოლოდ იმ ინფორმაციასა და იდეებს, რომლებიც დადებითად აღიქმება ან მიიჩნევა ნეიტრალურად - გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეტ ინფორმაციასაც, რომელიც შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან აღმაშფოთებელი.

მედიაპლურალიზმი გამოხატვის თავისუფლების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტია. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსაზრებების მრავალფეროვნება მედიაში არა მხოლოდ დაშვებული უნდა იყოს, არამედ უნდა მოხდეს მისი აქტიური წახალისება და ხელშეწყობა. საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები აუცილებლად უნდა გაშუქდეს მედიაში, რაც ტოლერანტობისა და ფართო თვალთახედვის ჩამოყალიბების საწინდარია.

ძირითადი ნაწილი

მედიის წარმომადგენლებს ხშირად საზოგადოების მეთვალყურეებს, „ვოჩდოგებს“ უწოდებენ. მათი როლი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია. ჟურნალისტის უშუალო მოვალეობაა მის მსმენელს მაყურებელსა თუ მკითხველს გააცნოს აქტუალური და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ჟურნალისტის მაღალი პროფესიული სტანდარტები სწორედ იმით განისაზღვრება, თუ რამდენად სანდო, ობიექტურ და მიუკერძოებელ ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობას. მნიშვნელოვანია მედიამ ყველა ის ეთიკური სტანდარტი დაიცვას, რაც მის პროფესიას ავალდებულებს. სწორედ ამგვარი პრინციპებით შეიძლება ჟურნალისმა მოიპოვოს საზოგადოების მაღალი ნდობა.

ჟურნალისტი ვალდებულია, გამოქვეყნებამდე გადაამოწმოს ფაქტები. თუმცა იგივე მოთხოვნა არ ეხება ვითარებას, როდესაც ჟურნალისტები აშქებენ ან ავრცელებენ სუბიექტურ შეფასებებს (მოსაზრებებს). ამის მიუხედავად, მოსაზრებებიც უნდა ემყარებოდეს რაიმე ფაქტობრივ საფუძველს. განსაკუთრებულ გარემოებებში გამართლებულია, თუ ჟურნალისტი არ გადაამოწმებს ფაქტებს. მაგალითად, როდესაც ჟურნალისტი აშუქებს მთავრობიდან მიღებულ ოფიციალური ანგარიშების შინაარსს ან ინფორმაციას, ან საჯარო ჩანაწერებს/დოკუმენტაციას,

იგი არ არის ვალდებული, ჩაატაროს დამატებითი დამოუკიდებელი კვლევა ამ ფაქტების გადასამოწმებლად.

ჟურნალისტების გადასაწყვეტია, თუ როგორ წარადგენენ სტატიას ბეჭვდურ მედიაში. მათ უფლება აქვთ, გარკვეული ხარისხით გამოიყენონ გადაჭარბების ან, თუნდაც, პროვოკაციის ხერხი. შესაბამისად, მათ შეუძლიათ, გაამძაფრონ სტატიები და სცადონ მათი მიმზიდველად წარმოჩენა, იმ პირობით, რომ ისინი ფაქტებს არ დაამახინჯებენ და არ შეიყვანენ მკითხველს შეცდომაში.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტი შეიძლება, შეზღუდული სასამართლო აკრძალვით, ვინაიდან პუბლიკაციაზე წინასწარი შეზღუდვის დაწესება არ არის აკრძალული. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ სასამართლო ვალდებულია გულდასმით შეაფასოს პრესასთან დაკავშირებული აკრძალვები, ვინაიდან ახალი ამბები არის „მალფუჭებადი პროდუქტი“ და მისი გამოქვეყნების დაყოვნებამ, თუნდაც მცირე დროით, შეიძლება, ახალ ამბავს მთელი ღირებულება და ინტერესი დაუკარგოს.

როდესაც შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ჟურნალისტებმა კომენტარებისთვის უნდა მიმართონ თავიანთი რეპორტაჟების სუბიექტებს, თუმცა ჟურნალისტებს არ აქვთ სუბიექტებისათვის გამოქვეყნებამდე ან გაშუქებამდე შეტყობინების ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმის - Mosley v. UK - მიხედვით, დაინტერესებულ პირს გადაუღეს ფოტო და ვიდეო სექსმუშაკებთან ერთად სადომაზოხისტურ აქტივობებში მონაწილეობის პროცესში. მან უჩივლა გაზეთს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის გამო, რაც მის სასარგებლოდ დასრულდა. განმცხადებელს ასევე სურდა, სასამართლოს დაედგინა მედიის სამართლებრივი ვალდებულება, წინასწარ შეეტყობინებინა დაინტერესებული პირებისთვის მასალის გამოქვეყნების განზრახვის შესახებ. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი, მედიასაშუალებებს წინასწარ გაეფრთხილებინათ დაინტერესებული პირები დაგეგმილი გამოქვეყნების შესახებ.

პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკა ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტები პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას იქცევიან კეთილსინდისიერად და ავრცელებენ ინფორმაციას შურნალისტური ეთიკის შესაბამისად. ჟურნალისტები უზრუნველყოფენ დაბალანსებულ გაშქებას, რისთვისაც უკავშრდებიან დაინტერესებულ პირებს კომენტარის მისაღებად მასალის გამოქვეყნებამდე.

ტაბლოიდური ჟურნალისტიკის შემთხვევაშ კი პერსონალური ინფორმაცია (განსაკუთრებით ფოტომასალა) გროვდება მუდმივი შევიწროებისა და წნეხის გარემოში, რამაც შესაძლოა, დაინტერესებულ პირებში აღძრას მათ პირად ცხოვრებაში ჩარევის ან თუნდაც, დევნის განცდა.

სამართლებრივი შეფასებისას მნიშნელოვანი ელემენტია, თუ ვინ ავრცელებს პირად ინფორმაციას - ჟურნალისტი, რომელიც იცავს პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის პრინციპებს, თუ ტაბლოიდი გამოცემები, რომლებიც ინფორმაციას მხოლოდ საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ავრცელებენ. პასუხისმგებლიანი ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლება უფრო მეტად არის დაცული. ამავე დროს, ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არი, გაშქების რა მეთოდებს გამოიყენებენ ჟურნალისტები.

დასკვნა

მნიშვნელოვანია ჟურნალისტებმა გაითვალისწინონ, რომ საზოგადოებისთვის საჭირო არ არის პირის ადგილსამყოფელის ცოდნა, ისევე როგორც იმის ცოდნა, თუ როგორ იქნევა პირი განმარტოებისას, მაშნაც კი როდესაც იმყოფება ისეთ ადგილას, რომელიც სრულად დახურული არ არის.

პირის თანხმობის გარეშე ისეთი ფოტოებისა და თანმხლები კომენტარების გამოქვეყნება, რომელიც ექსკლუზიურად პირადი ცხოვრების დეტალებს უკავშრდება და გადაღებულია ფარულად, დიდი ალბათობით შელახავს საჯარო პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ამგვარი საკითხები კიდევ უფრო მკაცრად რეგულირდება კერძო პირებთან დაკავშრებულ შემთხვევებში.

ჟურნალისტები ვალდებულნი არიან დაიცვან კანონი და ეთიკის კოდექსი ახალი ამბების გაშქებისას და დიდი სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთ სიტუაციებში, სადაც შესაძლოა, მოქმედი კანონები დაირღვეს.

ლიტერატურა:

1. "პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკა" https://accountablejournalism.org/ethics-codes/international ;
2. ჟურნალისთა ეთიკის კოდექსი;
3. "Guidelines on Safeguarding Privacy in the Media"
4. https://www.coe.int/en/web/freedom-expression/media
5. https://www.coe.int/web/data-protection/home
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე: Mosley v. The United Kingdom, No. 48009/08, 2011 წლის 10 მაისი;
7. ევროპის საბჭოს დოკუმენტები: რეკომენდაცია CM/Rec(2018) 1 ; მედიაპლურალიზმისა და მედიასაკუთრების გამჭვირვალობის შესახებ;
8. რეკომენდაცია CM/Rec(2011)7 მედიის ახლებული გაგების შესახებ;
9. რეზოლუცია 2066 (2015), მედიის პასუხისმგებლობა და ეთიკა ცვალებად მედიაგარემოში, საპარლამენტო ასამბლეა;
10. რეზოლუცია 1843 (2011), პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი მონაცემების დაცვა ინტერნეტსა სოციალურ მედიაში.

Freedom of expression, the role of the media and responsible journalism

Shorena Kokorashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Members of the media are considered to be public watchdogs with a vital role in a democratic society. They have a duty to widespread the information and make the people aware of all matters where there is the public interest, and right to get it as well. Nonetheless, a journalist's right to freedom of expression is not absolute. Journalists have rights and responsibilities. In this regard, the term "rights" means the journalist's prerogative to execute his/her profession and clarify the interesting questions of society, whereas the term "responsibilities" means that they should act faithfully and provide accurate and reliable information in accordance with the ethics of journalism.

Keywords: Media, Responsible journalism, Objectivity, Tabloid journalism, Freedom of expression.